ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №50/ს

თბილისი „24„ სექტემბერი“ 2018 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1 ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მერი მაღლაფერიძის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ავერსი–ფარმა“**(შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ეკატერინე მიქელაძის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი171497052 ინდივიდუალური ნომერი 33007688809817) სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, საკუთარი სახსრების ფარგლებში, შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის ქუთაისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) ბენეფიციარის საჭიროებისთვის მდიკამენტის (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება – ფარმაცევტული პროდუქტები – 33600000; დეტალური CPV- 33651100– სისტემური გამოყენების ანტიბაქტერიული საშუალებები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **19.5** (ცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2 ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, მახასიათებლები, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.2. „მიმწოდებლის“ მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს საქონლის მიწოდებიდან არანაკლები 3 თვისა.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის მიერ საქონლის მოთხოვნიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მოთხოვნის წარდგენა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 26 სექტემბრისა.

4.2.მიწოდების ადგილია **ქ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. #31**, სადაც საქონლის მიწოდებით შემსყიდველზე გადადის 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის შემსყიდველს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე - საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) განადგურებაზე , გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3 ფაქტიურად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.1 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.1.1 შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;

7.1.2 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.

7.2.2 დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში (მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების დროს) მეორე მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარეს მოთხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების (გადასახდელი თანხის) 0,02%–ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%–ის ოდენობით.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის არაჯეროვანი შესრულებისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2 ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ფონდის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 ინსპექტირების დასკვნის მომზადება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1 ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'' სამი ეგზემპლარი _ ,,შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"

სსიპ" ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"
ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კ № 205169592

მერი მალლაფერიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ავერსი–ფარმა"
ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.#148
ს/ს „საქართველოს ბანკი"
ცენტრალური ფილიალი
კოდი № BAGAGE22
ა/ა № GE06BG0000000122932100
ს/კ № 211386695

ეკატერინე მიქელაძე
კომერციული დირექტორი

დანართი #1

#	დასახელება	CPV კოდი	განზომილება	რაოდენობა	ერთაულის ფასი	საერთო ღირებულება
1	ცეფტრიაქსონი 0,1გ ფლ	33651100	ფლაკონი	5	3,9	19,5

სულ: 19,5 ლარი

„შემსყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“

მერი მაღლაფერიძე
დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს „ავერსი–ფარმა“

ეკატერინე მიქელაძე
კომერციული დირექტორი